მცხეთის მუნიციპალიტეტში კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების
სახელმწიფო შესყიდვებისთვის შექმნილი საკონკურსო კომისია
ოქმი №1

ქ. მცხეთა 23 აპრილი 2015 წელი

რევაზ ელოშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ზურაბ მარსაგიშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის განყოფილების უფროსი;

უშანგი ლაფერაშვილი - არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

შალვა ქემოკლიძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვანში 4 ჯგუფიანი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის საკონკურსო პირობების დამტკიცება.

გაეცვნენ:

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვანში 4 ჯგუფიანი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის საკონკურსო პირობებს

კომისიამ დაადგინა: დამტკიცდეს შემდეგი საკონკურსო განცხადების პირობები:

საკონკურსო განცხადება

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს კონკურსს "**მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ წეროვანში 4 ჯგუფიანი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის**" არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველ დაინტერესებულ პირს.

2. <u>**კონკურსის მიზანია:**</u> **მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვანში 4 ჯგუფიანი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის** შესყიდვა.

3. საბოლოო სრული პროექტის ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს: **შენობის ექსტერიერის, ინტერიერის, გარე პერიმეტრის დიზაინი, სამშენებლო საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, პროექტის ექსპერტიზა** და **საპროექტო ადგილის გეოლოგიური დასკვნა** (ექსპრტიზის და გეოლოგიური დასკვნის საფასურს იხდის გამარჯებული კონკურსანტი)

4. **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო** დოკუმენტაციის **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 18 000** (თვრამეტი ათას) ლარს. (დ.ღ.გ. ჩათვლით).ყველა **კონკურსანტმა საკონკურსო** წინადადება **უნდა წარმოადგინოს** დღგ-ს ჩათვლით და **წარმოდგენილი** უნდა იქნას შესაბამისი ცნობა ადმინისტრაციული ორგანოდან გადამხდელია თუ არა **კონკურსანტი** აღნიშნული გადასახადის.

5. **საკონკურსო** წინადადების **წარდგენისთვის** პირი იხდის **საფასურს** 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერზე (http://procurement.gov.ge)

6. **საფასურის გადახდის დამადასტურებელ** დოკუმენტში **მითითებული** უნდა **იყოს:**

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის **უნიკალური ნომერი** და **გადახდის** თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება **და** საიდენტიფიკაციო **კოდი;**

გ) კონკურსანტის დასახელება **და** საიდენტიფიკაციო **კოდი;**

დ) საკონკურსო განცხადების **სააგენტოს** ოფიციალურ ვებგვერდზე **გამოქვეყნების** შედეგად **განცხადებისათვის** მინიჭებული **უნიკალური** ნომერი.

7. **საკონკურსო** წინადადება, **რომელიც** არ **შეიცავს** საფასურის **გადახდის** დამადასტურებელ **შესაბამის** დოკუმენტს, **არ** განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის **დარღვევით** წარდგენილი **საფასურის** გადახდის **დამადასტურებელი** დოკუმენტის **შემთხვევაში**, პირის **საკონკურსო** წინადადება ექვემდებარება **დისკვალიფიკაციას.**

8. **წარმოდგენილი** საკონკურსო **წინადადება** მოქმედებს **კონკურსში** გამარჯვებულ **კონკურსანტთან** ხელშეკრულების **დადებამდე.**

9. **საკონკურსო** წინადადებით **წარმოდგენილი** ყველა **დოკუმენტი** ან/და **ინფორმაცია** წარმოდგენილი **უნდა** იყოს ქართულ ენაზე **და** ხელმოწერილი **უნდა** იყოს **შესაბამისი** უფლებამოსილი **პირის** მიერ.
(**შენიშვნა:** დოკუმენტის ან/და ინფორმაციის **უცხოურ** ენაზე **წარმოდგენის** შემთხვევაში, **მათ** უნდა **დაერთოს** ნოტარიულად **დამოწმებული** ქართული **თარგმანი.** აღნიშნულ **შემთხვევაში** უპირატესობა ენიჭება ქართულ **თარგმანს.**)

10. **დაინტერესებულმა** პირებმა **საკონკურსო** წინადადება **უნდა** წარმოადგინონ **2015** წლის **01** მაისს **შემდეგ** მისამართზე ქ. **მცხეთა, ანტიოქიის ქუჩა №7.**

11. **დაგვიანებით** წარმოდგენილი **საკონკურსო** წინადადება **არ** განიხილება **და** დაუბრუნდებაკონკურსანტს.

12. **კონკურსანტის** მიერ **წარმოსადგენი** საკონკურსო **წინადადება** უნდა **მოიცავდეს:**

- **განმარტებით** ბარათს (**რომელიც** მოიცავს **ობიექტის** არქიტექტურული **გადაწყვეტის**

კონცეფციას);

- ენერგოეფექტურობის კონცეფციას (რომელიც მოიცავს ენერგოეფექტურობის სტრატეგიას და მიღწევის გზებს);
- გენგეგმა, სართულების გეგმები და ჭრილები წითელი ხაზების ჩვენებით, ფოტომონტაჟი.
- ინფორმაცია ანალოგიურ სამუშაოებზე გამოცდილების შესახებ (წარმოადგინოს ხელშეკრულების ქსეროასლები, ანსხვა მისი ტოლფასი დოკუმენტები).
- ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი დიზაინის (სიტუაციურ გეგმებს, ბაღის შენობების გარე და შიდა გეგმარებასა და იერსახეს (ვიზუალური იერსახე რენდერები).
- ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ.
- საკონკურსო წინადადების ფასი.
- რეკვიზიტები.

13. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
14. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება ჩვენს მიერ მითითებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
15. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა, მოხდება ქულებით შეფასების სისტემით:

- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
- განმარტებითი ბარათი, ტექნიკური მაჩვენებლები,გენგეგმა, სართულების გეგმები, ჭრილები წითელი ხაზების ჩვენებით, ფოტომონტაჟი---------- 0.5
- ინფორმაცია გამოცდილების შესახებ (ხელშეკრულებები, ან ტოლფასი დოკუმენტები) ---------- 0.2
- საკონკურსო წინადადების ფასი ---------- 0.2
- ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ ---------- 0.1

16. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა დასრულებულ საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს ადგილის გეოლოგიური და დოკუმენტაციის ექსპერტიზის დასკვნები, რომელთა ღირებულებაც გაისტუმრებს თავისი ხარჯებიდან.
18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები.
19. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 25 დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს სრული სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- ტოპოგეოდეზიურ მონაცემებს , საინჟინრო ქსელების არსებული მდგომარეობის დაფიქსირებით;
- საინჟინრო გეოლოგიური კვლევას;
- ვერტიკალური დაგეგმარებას და გარე პერიმეტრის კეთილმოწყობის პროექტს, გარე კომუნიკაციების მიერთების პროექტს, კანალიზაციაზე, ბუნებრივი აირზე, ელ. ენერგიაზე, სასმელი წყლის სისტემასთან;
- არქიტექტურულ პროექტს;
- კონსტრუქციულ პროექტს;

- სპეციალური სამუშაოების პროექტს (გათბობა, ცხელი და ცივი წყალი, კანალიზაცია, სანიაღვრე სისტემა ვენტილაცია- კონდიცირება, სანტექნიკა, ელექტრობა, მათ შორის გარე განათება);
- სუსტი დენების პროექტს;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს;
- მშენებლობის კალენდარულ გრაფიკს;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;
- სივრცით დაგეგმარებას;
- კონკურსანტებმა სრული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონული ფორმატი PDF, (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი _ ArchiCad, Auto CAD), ხარჯთაღრიცხვა (EXCEL ფორმატში) და ნაბეჭდი სახით ალბომებად (3 ეგზემპლარი);
- მწვანე შენობის სტრატეგია და გეგმა (არასავალდებულო მაგრამ სასურველი დოკუმენტი) უნდა მოიცავდეს მწვანე შენობის მიღწევის სტრატეგიას, კერძოდ, მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: ობიექტის ადგილმდებრეობა და მდგრადი ტრანსპორტირება, მიწათსარგებლობა და ობიექტის ეკოლოგია, წყლის რესურსების ეფექტიანობა, მწვანე მასალები, ჯანმრთელი შიდა გარემო;
- ძირითადი სათავსოებისათვის ინსოლაციასა და ბუნებრივ განათებულობას
- პროექტის შედგენის ღირებულება, რომელიც უნდა მოიცავდეს საკონკურსო განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების სრულ ფასს;
- კონკურსანტის სრულ რეკვიზიტებს.

21. დასრულებული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს „ტექნიური დავალებით" მოთხოვნილ მონაცემებს.

22. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი მისამართზე: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7, ტელ: 2-51-26-96

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვანში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია იმდაგვარად უნდა იქნას შედგენილი, რომ სავარაუდო საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდეს 600 000 ლარს.

საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ადგილის გეოლოგიური დასკვნა.

მშენებლობა უნდა განხორციელდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: 72.08.25.019) შენობა განისაზღვროს 4 ჯგუფზე სადაც 1 ჯგუფი იქნება ბაგა-ბაღისთვის, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანება, კეთილმოწყობა და გარე ქსელები, აგრეთვე გასათვალისწინებელია ყველა საჭირო პირობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის.

პროექტის ძირითადი იდეები, პარამეტრები, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და სხვა ტექსტური მასალა მოცემული უნდა იყოს განმარტებით ბარათში.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესრულებული უნდა იქნას ლოკალურ-რესურსული მეთოდით საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების (ს.ნ და წ. – (СНиП) გამოყენებით, შესაბამის სამუშაოებზე კოდების მითითებით.

სამშენებლო რესურსების ფასები შეირჩეს საბაზრო და მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ მიმდინარე დონეზე გამოცემული ყოველკვარტალურ წიგნზე დაყრდნობით.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი დ.ღ.გ.-ს ჩათვლით, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის და მისი ექსპერტიზის ხარჯი, „ენერგო-პრო ჯორჯია"-სთვის გადასარიცხი ელ. ენერგიის დაერთების საფასური.

კონკურსანტის მიერ დაფიქსირებული (წარმოდგენილი) საკონკურსო წინადადების ფასი, უნდა ედრებოდეს მის მიერ წარმოდგენილ დასრულებულ ხარჯთაღრიცხვაში არსებულ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯს.

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულების პროექტი

ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ,————————(შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ————————————სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვანში 4 ჯგუფიანი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ——————————ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს-------

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.№7

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2015 წლის————

6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზერუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7. 1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს ————

7.2 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლემამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის _____ და მოქმედებს 2015 წლის _____ჩათვლით.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ,ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7
ს/კოდი: 236098824,
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბ.კ TRESGE22
ა/N GE24NB0330100200165022
მუნიციპალიტეტის გამგებელი ზურაბ აბესაძე

აღნიშნულ პირობებს ვადასტურებთ ხელმოწერით:

კომისიის თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: რ. ელოშვილი

კომისიის წევრები: ხ. მარსაგიშვილი

უ. ლაფერაშვილი

შ. ქემოკლიძე